კვირა, 26 ივლისი. ფასი 10 კაპ.

მართალი
და სალამური

№ 7

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



ეგნატე ნინოშვილი. სად წახვალ შე მართლა ფუსუნსალა შენა! ჩემი სახელით გინდა შენი სისულელე გაასაღო!

ერთი ვინმე ართმელაძე,
(ნიგოითის "ფუსუნსალა")
უსაქმობით განამწარი
საწერ-კალამს დაეძალა.
სთქვა: „მწერლობა რა ბუზია?
წელში უნდა წაიღუნო,
დაუსვეღო კალამს წვერი
და ქაღალდე აფხაჭუნო.“
დაფაცურდა. მან „ხელსაწყო“
მყისვე ყველა მოიპოვა:
დიდი ბოთლი საწერელი
და კალმების მთელი გროვა.
სტოლს მიუჯდა მედიდურათ,
ლაღათ კისერ მონაღერი,
აფხაჭუნებს კალამს, მაგრამ
არ გამოდის არაფერი.
ჭირის ოფლ'ში იწურები,
საცოდავათ ქშინავს, კვნესის,
არ იქნა, ვერ მოახერხა
მან დაწერა უკეთესის.
აღარავინ წაიკითხა
ტიტეს „ნაწერ.ნაფხაჭუნი“
და იძახის ართმელაძე:
„ნეტავ რით ვარ დასაწუნი.?“
ბოლოს ხერხი მოიგონა'
და მკითხველთა შესაძენათ
მისი ნიჭის ნავაგლახი
ნინოშვილს მიართვა ძღვენათ.

—კი

„ძველ-ფეძველება.“

ტიტე ართმელაძის შესახებ, სამწუხაროდ, ს მესამეჯერ გვიხდება წერა.

„ვით ძნიად წნორი ბერ-ფუყი
მოიღუნების წკნელათა,
ეგრეთვე კაცი მხცოვანი
განისწავლების ძნელათა“-ო.

ამბობს ნეტარ ხსენებული დავით გურამიშვილი.

მართალია ტ. ართმელაძე არ არის მხცოვანი, მაგრამ ეს თქმულება მასზე ზე გამოჭრილია და თუ ჩვენ, მიუხედავათ ამ დარიგებისა, დავსწერთ ორიოდ სიტყვას პატივცემულ ნიგოითელ „ფუსუნსალზე“, ეს რასაკვირველია არა მის განსასწავლათ.

ჩვენ მხოლოდ სხვების გაფრთხილება გვინდა.

ასე მკვახეთ ამას არ იტყვიან, მაგრამ უნდა ვსთქვა და შეიძლება თქმაც არა სპიროდეს, რომ ტ. ართმელაძე ერთი ფუყე ანუ უნიჭო მწერალია.

უნიჭობა, უნდა მოგახსენოთ არ არის არავითარი დანაშაული და ტიტე ართმელაძესაც ამ მხრივ ჩვენ ბრალს არა ვსდებთ. მაგრამ, როცა უნიჭო ადამიანი, ანუ უკეთ ვსთქვათ უნიჭო მწერალი თავისი ჩლუნგი კალმის ნაწვერალით ასე თუ ისე სიყალბესაც სჩადის, მაშინ კი უნდა გავცეთ პასუხი, თუნდაც უაზრობასა და უგუნურობას.

გაზეთი „დროება“, რომელიც ბეწვს არა სტოვებს სხვის თვალში, თავისიანებთან ერთობ გულკეთილია

და გინდაც ფეხი წამოჰკრას
გათახსირების დირესა,
„ეს რა არისო“ არც ეტყვის
და არცა გაიკვირებსა.

21 ივლისის ნომერში ეს გაზეთი ასე აცხადებს:

„ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „პრესსა და მკითხველ საზოგადოების საყურადღებოთ“ ტ. ართმელაძისა. ფასი ერთი შაური“.

რედაქციამ, თუ ბ-ნმა ქრონიკიორმა, აღარ მოიხსენია ის საარაკო ამბავი, რომ ამ „ახალი წიგნის“ შემოსავალი გადადებულია ეგნატე ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოთ.

ტიტე ართმელაძე ეგნატეს ძეგლს უდგამს!!!
და მერე რით უდგამს?
თავისი ბერ-ფუყე გონების ნაწარმოებით!..
ოჰ სიურცხვევ, რასშიგანხარ,
არ აწითლებ კაცის პირსა,
ძეგლს აშენებს ართმელაძე,
ეგნატესთვის განაპირსა.

დაფიქრება რასაკვირველია, საჭირო არ იყო „დროების“ ქრონიკიორისათვის, რომ გაეგო ნამდვილი სულის კვეთება ნიგოითელი ფუსუნსალისა, მაგრამ:

„ზოგჯერ თქმა სჯობს
არა თქმასა,
ზოგჯერ თქმითაც
დაშავდების“.

ვინც ცოტად თუ ბევრად იცნობს აღნიშნულ ართმელაძეს და მის სულის კვეთებას, იმისთვის ცხადზე უცხადესია, თუ რისთვის ჩაიდინა მან ეს საზიზღარი ოინი. თითონ ართმელაძემაც კარგათ იცის, რომ მისი საჩუქარი ეგნატეს ხსოვნის შეურაცხყოფაა, მაგრამ რა ჰქნას, რომ სხვა გზით მკითხველს ვერ იშოვის?

„ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსა“

და ართმელაძემაც მოიგონა ჩინებული საშვალება თავისი უმეცრების ხალხში გასავრცელებლათ. მოიგონა საშვალება მიზნის მისაღწევათ, ჩინებული, მაგრამ უღირსი და შეუფერებელი პატიოსანის, თუნდაც უნიჭო მწერლისათვის.

და წარმოიდგინეთ, ამ სიურცხვის მომქმედი ადამიანი თავისს „ახალ წიგნში“ ვითომ პრესის დაქვეითებაზე ლაპარაკობს. ის გოდებს და ქვითინებს, რომ ქართული მწერლობა დაეცა, რომ ის, ტიტე ართმელაძე, აწამეს ვიღაც ძმა-ბიჭებმა, რომ ის თავისი გენიოსობით იჩაგრება მოსეული მტრისაგან. ერთი სიტყვით, ქართული მწერლობის უნიჭო ნაძირალა მოსთქვამს მწერლობის დაქვეითებაზე.

„დროების“ მიერ მიღებული ,,ახალი წიგნი'' ამ წინაზე ,,ივერიაში'' გამოახრიალა საქართველოს არხი იეზუიტმა, მაგრამ რადგანაც ამ პატივცემულ ორდენს მკითხველი ცოტა არ იყოს აკლია, ტ. ართმელაძემ ის ცალკე „წიგნათ“ გამოსცა და რომ ხალხს ეყიდა, დააწერა: „შემოსავალი ეგნატეს ფონდს მოხმარდებაი''.

ვინაც იცნობდა განსვენებულ ეგნატეს, მას კარგათ ეხსომება, თუ რა გარჩეული იყო ის ,,საჩუქრებშიაც''. ნაჩუქარ ცხენს ის ყოველთვის უშინჯავდა კბილებს''. და რაღა თქმა უნდა, ნეტარ ხსენებული ახლაც ასე მოიქცეოდა. ასეთი „ცხენის“ ჩუქებისათვის, როგორიც ტ. ართმელაძის „ახალი წიგნია“, ეგნატე არ დაიშურებდა თავის წყრომასა და რისხვას თავაშვებული მეძღვნისთვის, მაგრამ ბედი მისი, ეგნატე ნინოშვილი ვერ დაინახავს ვერც მის მინაძღვენს და ვერც სიფლიდეს უნიჭო მწერლისას, ხოლო სხვა ვინმე ამაზე თავს არ იტკივებს.

„დროების“ რედაქციამ რა კი დაინახა ეს სიყალბე „ახალი წიგნის“ ავტორისა, არა თუ დაჭგმოს მისი ასეთი საქციელი.

ეშმაკი.



„წითელი ფელა“.

I

წითლად აენთენ ვარსკვლავნი ცაში,
კაცთ ჟრიამული გარშემო მისწყდა;
ამომავალი ღამის მნათობის
პირველი შუქი მთის მწვერვალს მისწვდა,

—

მკრთალი სინათლე წყვდიადს შეება,
ფრთა შეაკვეცა, და გაიღიმა,
ნიშნათ ლხენისა, ფოთოლ-ბალახზე
მარგალიტები ააციმციმა.

—

მთვარის ამოსვლა ფრთოვან მგოსანმა
საამო სტვენით მთაბარს ახარა,
და მის წინ, ეშხით დამთვრალმა ვარდმა
სინაზით დაბლა თავი დახარა.

—

სხვა ფრინველებმა ხმა ჩაიკმინდეს,
მდინარემ უკლო განუწყვეტ ჩხრიალს,
ტყემ ყური სცქვიტა, ველად ნიავმაც
თავი ანება ფრთა სუბუქ სრიალს...

—

ჩუ! შტო შეირხა მახლობელი ხის.
ვიღაც ქურდულად მოიპარება,
თითქოს ამასაც გადასდებია,
ვით ჯადო, ღამის ეგ მდუმარება.

—

„მაიკო, შენა?! ჩემო ღვთაებავ“...
—„მიხა!“.. აქ ორნივ თვალთ მიეფარენ
და ხეთა ჩრდილში, ვით ჩვენებანი,
თითქოს შთაინთქენ, და მიიმალენ...

—

ოჰ, დროვ ძვირფასო, შეყვარებულთა
წმინდა, ანკარა, ნეტარო წამო,
გულს აღიბეჭდე იმათი სახე,
რომ მათ მომავალს შენ ემოწამო!..

II

სძინავს ყოველსა. სდუმს არე-მარე.
ცას ფართო შუბლი მოუწმენდია,
მის ლურჯ სივრცეში მიცურავს მთვარე,
ძირს ჭარ-ნიავს ხმა ჩაუკმენდია.

—

არღარა ისმის. შესწყდა ყიჟინა,
ნელ-ნელ ისუსტა მაჯისა ცემამ,
ლალმა ოცნებამ კვლავ მიიძინა,
გული აღავსო კაეშან-კდემამ...

—

ვიწრო საკანი საპყრობილისა
მძინარ ტუსაღებს გულში იხუტავს,
მოისმის მძიმე სულთქმა ძილისა
და მკრთალი შუქი სანთლისა ბჟუტავს.

—

რკინის ბადიან ვიწრო სარკმელში
მოსჩანს დარაჯი, სახე მოღლილი,
მას ხიშტიანი თოფი აქვს ხელში,
თვალთ რული მოსდის, ერევა ძილი.

—

გულის მომკვლელი რაღაც დუმილი
გამეფებულა საპყრობილეში,
მხოლოთ მოისმის მამალთ ყივილი
დრო გამოშვებით ღამის სივრცეში,

—

და ხან დარაჯის მძიმე ფეხის ხმა
თუ შეაშფოთებს სატუსაღოს ძილს,
თორემ სხვა ყველა არსთა სულისთქმა
დაუტყვევია საფლავურ დუმილს...

—

მხოლოთ საკანის ერთ ბნელ კუნჭულში,
ცივ იატაკზე წამოწოლილსა,
არ სძინავს ტუსაღს: ვარამი გულში
და მწარე ფიქრი მას უფრთხობს ძილსა.

—

მან კარგათ იცის, რომ, მასავით, ბევრს
უწყალოთ სტანჯავს უსამართლობა:
ზოგი ციხეში ტანჯულ სულსა ლევს,
ზოგსა ეკარგვის აზრი და გრძნობა,

—

ზოგი, ცივ მხარეს გარდახვეწილი,
უსახსრობისგან სიმშილს განიცდის,
ზოგი ძირს გდია გულ-გახვრეტილი,
ზოგს ეშაფოტზე სული ამოსდის...

—

ან კი რამდენი უნდა მოსთვალოს
ბოროტ ძალისგან განაქელავი?
ურიცხვი მსხვერპლი სხვა ივალალოს,
თუ ჯერ იტიროს ტანჯული თავი?!.

—

მას თვალწინ უდგას მისი მაიკო:
„რასა გრძნობს ნეტა იმისი გული?
ოჰ, ერთის წამით ფრინველი ვიყო,—
ენახო ის, ჩემით დაობლებული!

—

გავფრინდე სწრაფად, ფრთა ფრთას შემოვკრა,
გავქრე ჰაერში, გავაპო არე,
მივსწვდე ჩემს ღმერთას, გულში ჩავეკრა
და მერმე... თუნდაც ცივი სამარე!"..

—

მაგრამ ოცნება!.. მწარე სიცხადე...
ის აქ შორსაა არემარიდან!
ვიწრო ფანჯარა, ზედ რკინის ბადე!
სხვა გზა არცაა ამ „სამარიდან".

—

სასო მიხდილმა იმისმა გულმა
ბოღმა-ამოსკვნით ამოიგმინა;
მძიმე ტანჯვისგან ქანც მილეულმა
ბოლოს ჩასთვლიმა და მიიძინა.

—

მაგრამ სიზმარმა იგი წაიღო:
კვნესდა, ბორგავდა იმისი გული,
და მისი ძილიც ტანჯვის ზღვა იყო
აღშფოთებული, აქაფებული!..

III

დილა ბნელია. უბერავს ქარი,
არე, მიდამო გადათოშილა,
ცა სტირის მწარეთ, ძაძა მოსილი,
ტყე კვნესს, მთა გოდებს, ზღვა აქოჩრილა.

—

ადრინდელ მდელოს, გაპარტახებულს,
ზურმუხტის კაბა ტანს არ აცვია,
თრთის და კანკალებს მთელი ბუნება:
სიცივისაგან კანი აწვია...

—

ჩუ! ზარს ჩამოჰკრეს განთიადისა.
ქრისტეს შობაა და მოგვცეს ცნობა,
რომ მოწიწებით მუხლთ მოვიხაროთ
მის წინ, ვინც პირველ გვაუწყა: „ძმობა";

—

ვინც ტვირთ მძიმეებს ესარჩლებოდა,
ვინც ხალხს სიყვარულს უქადაგებდა,
და ქვეყნის ძლიერთ, ფარისეველებს
შეურიგებელ ომს უცხადებდა!

—

ზარს კვლავ ჩამოჰკრეს! ახლა სულ სხვაგან!..
პასუხათ ისმის ნაბიჯი ჩქარი,
დაიჭრიალა რკინის ურდულმა:
ციხის გალავნის გააღეს კარი.

—

ეგ ამალაა, ჯარის კაცთ რაზმი:
დანიშნულია დღეს „იატაფი"!
ფიცხლავ ბრძანება გადასცეს საკანთ,
ატყდა, დაიწყო მზადება სწრაფი:

—

ხვევენ, აწყობენ ბარგი-ბარხანას
ისმის დარაჯთა: „გაჩერდი!"—„წადი!"
აგერ ერთ ურჩ ტყვეს რომ დაემუქრენ,
და—მოუღირეს თოფის „პრიკლადი",

—

ეგ მიხა არის, უბედურიძე,
სდგას თვისი ბარგით გამზადებული,
თითქოს არც ესმის, რა ხდება ირგვლივ,
დაღვრემილია, მოდუნებული!

—

ერთის წლის ციხემ დაჰკრა ბეჭედი
მის ისედაც სუსტ აგებულებას:
სახეს სიყვითლე გადასდებია,
და მუხლებშიაც არ გრძნობს შეძლებას.

—

მას ისტუმრებენ ცივი ქვეყნისკენ,
და ისიც მიდის... მისთვის ერთია:
გინდ აქ აწამონ, გინდ—იმ მხარეში,
ყველგან ერთგვარი ჯოჯოხეთია!..

—

იმ ღამით სიზმრათ მან უკვე ნახა
ის, ვისი ნახვაც ენატრებოდა,
ტკბილი ალერსით თვალთ უკოცნიდა
და ვაგიჟებით გულს ეკვრებოდა;

—

ეფიცებოდა თავის გრძნობებზე,
ისიც სინაზით თავს დაბლა ხრიდა,
ვერ იმაგრებდა გულს, აჟუჩებულს,
და ნეტარების ცრემლებსა ღვრიდა...

—

ოჰ, იმ ნეტარმა უსიტყვო წუთმა
თვით სინამდვილეს გადააჭარბა!
და ტყვეს სიცხადის ამ ჯოჯოხეთში
ის ტკბილი ძილი კვლავ შეეხარბა.

—

მაგრამ... ოცნება!.. „დაეწყვეთ ჩქარა!
გასწით!" გაისმა ბრძანება წინა;
დაიძრა რაზმი. ცამ ჩამოსტირა,
ქარმაც საზარლად დაიქვითინა...

ნ. ზომლეთელი.

(დასასრული იქნება)

დეპეშები.

(ემმაკეთის დეპეშათა სააგენტო)

ჟენევა. ადგილობრივმა პოლიციამ ყველა ქართველების ბინა გაჩხრიკა. აკრძალული ვერაფერი აღმოაჩინა გარდა იმისა, რომ ერთ მათგანს წიგნის კითხვაზე მოასწრო. ეს საარაკო ამბავი მეორე დღესვე ყველა გაზეთებში იყო გამოცხადებული. ამბობენ, შეკითხვას შეიტანენ პალატაში: „ჟენევაში მცხოვრებ ქართველებს აქვთ თუ არა მეცადინეობის ნება".

აბაშა. ხმა დადის, ვითომც სამეგრელოს ერთ-

ერთ დაბაში ბოქაულად ქალი დაუყენებიათ. საქმე იმაშია, რომ ეპოლეტებს ქმარი ატარებს, ხოლო საბოქაულოს საქმეებს ქალი აწარმოებსო. ამ საქმეში მას ერთი ახალგაზრდა ყმაწვილიც ეხმარებაო. გამოცდილი კაცები ამბობენ: არც ერთ საბოქაულოში ასე კარგათ არ არის დაყენებული საკითხი გამოსარჩენის შესახებაო.

აქადანგე. აბაშის ბაზრის გამგეებმა საუკეთესო საშვალება გამოიგონეს ანგარიშის ჩასაბარებლათ. არც ბუხგალტერია, არც ცივი ჯადი. სწერენ:

„დაიხარჯა . . . . . .
კიდევ დაიხარჯა . . . . . .
კიდევ დაიხარჯა . . . . . .
კიდევ დაიხარჯა . . . . . .
კიდევ დაიხარჯა . . . . . .

წინეთ თურმე, სხვა გამგეები იმასაც სწერდენ, რაში დაიხარჯა, რაკი ეს ახალი წესი არ იცოდენ?

ოზურგეთი. ადგილობრივ რეალურ გემნაზიაში უკვე დაიწყო მისაღები ეგზამენები. დაბალ მოსამზადებელში ჩინებულათ დაიჭირა ეგზამენი ბებურ ბებურიშვილმა, ვასილ ხუნდაძემ და პლატონ ბერიძემ. სხვები ჯერაც იჭერენ.

სამაქაო. პოლიციამ აღმოაჩინა ერთი გლეხი, რომლისთვისაც ჯერ არ უჩივლია ადგილობრივი სკოლის ზედამხედველ გ. მიქაძეს.

აბაშა. ადგილობრივ ორ-შტატიანი ეკლესიის მეორე მღვდელი რ. ჩოჩია დამჯდარი დახვედრია უფროს მღვდელს მამა ჯაკობიას. ამ საქმეზე გამოძიება სწარმოებს. ამბობენ, ასეთი ურჩობისათვის ჩოჩიას სადმე გადააჩოჩებს მამა ჯაკობიაო.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ცნობილი მოძღვარი ი. ჟვანია ორი თვით უდაბნოში აპირებს წასვლას „ძალთა აღსადგენათ“, რომ შემდგომად მუნით დაბრუნებისა სძლიოს მასზე ამხედრებულ ხალხის რისხვასაო.

ნიგოითი. ლავრენტი მღვდელმა კანცელარიის შარა გზა სულ განასუფთავა მტვრისაგან თავისი ძვირფასი ანაფორის კალთით. დღეში ათჯერ მიაკითხავს მამასახლისს შესახებ დრამა ფულისა. მაგრამ რადგანაც გლეხებს ქანქარი აღარ გააჩნიათ, ქვიანის სამკითხველო, ნაცვლად წიგნებისა, საწინდრებით აღავსეს.

თფილისი. გუშინ წინ ცეპელინის ჰაეროსტატით მთავარი ეშმაკი პროვინციისკენ გაფრინდა სარევიზიოთ. ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა დადის ამის შესახებ. არ იციან, სად ჩამოეშვება.

ვაფრთხილებთ ადგილობრივ ეშმაკებსა და ეშმაკუნებს.

ნ ა ნ ა.

—

იავ ნანა, ვარდო ნანა
იავ ნანინაო,
ვხედავ შვილო, ჩემმა მოთქმამ
არ დაგაძინაო!

რას მიცქერი? ამის მიზეზს
ჯერ ვერ მიხვდებიო
და გაიგებ მხოლოდ მაშინ,
რო გაიზრდებიო.

ჯერ ბავშვი ხარ, უდარდელი,
დასჯილის შვილიო,
დაიძინე, ნუ გაშფოთებს
დედის ტირილიო.

დედას მხედავ ბედით ტანჯულს
და მამას ვერაო,
მტრებმა აღარ დაგვაცალეს
ჩვენ მისი ცქერაო.

დღეს მივიღე, ჩემო გვრიტო,
მისგან ბარათიო,
მწერს: „ათასჯერ ჩამიკოცნე
ის გოლიათიო“.

თითონ შვილო ციმბირშია
ბედით ტანჯულიო,
ბორკილებში გახლართულსა
უკვდება გულიო.

რკინის ლომით, გამუდმებით
მადნის ქვებს აფქვევსო,
მოსვენებას არ აძლევენ,
ჭირის ოფლს აფრქვევსო.

მოშივდება,—წაუგდებენ
გამხმარ პურს და წყალსო,
ავად გახდეს, არვინ მისცემს
შვილო, მას წამალსო.

სხვებთან ერთად, მამაშენიც
სთხრის იმ სამარესო,
სადაც მიწა მიეყრება
ჩვენს სიმწუხარესო.

გაიზრდები და შეიგნებ
ამ ტანჯულთ ბედსაო,
იქნებ ეს გზა შეგხვდეს წილად
ჩვენსა იმედსაო.

ჯერ ნორჩი ხარ, არ გიცვნია
ჭმუნვა და სევდაო,
დაიძინე გენაცვალოს
დასჯილი დედაო.

იავ ნანა, ვარდო ნანა,
იავ ნანინაო,

ვხედავ, შვილო, ჩემმა მოთქმამ
არ დაგაძინაო.
მაგრამ ახლა დაიძინე,
მეტს აღარ ვსტირიო,
მოვა დრო და მოგვესპობა
ჩვენც გასაჭირიო.

ვასიკო ციმბირელი.

რისგან შეიქმნა ქალი.

(თავისუფალი თარგმანი).

როცა პარაბრამამ (ინდუსთა მიფოლოგიით ქვეყნიერობის შემოქმედი) განიზრახა ქალის შექმნა, დაინახა, რომ მამა-კაცის შექმნაზე მას დაუხარჯავს ყოველი ამ საგნისათვის საჭირო მასალა, რამაც ის მეტის-მეტად დააღონა. დიდი ფიქრის შემდეგ მან აიღო: მთავრის მშვენიერი სიმრგვალე, გველის მიხვრა-მოხრა, საროს ტანადობა, მსუბუქი მოძრაობა ნიავისა, ყვავილის ხავერდისებური სირბილე; ბუმბლის სიმსუბუქე, მტრედის სიმშვიდე, მზის სხივის სიცელქე, მიმავალი ნისლ-ღრუბლების ცრემლები, ქარის დაუდგრომლობა, კურდღლის სიკხიზლე, ფარშევანგის მედიდურობა, ალმასის სიმაგრე, თაფლის სიტკბოება, ვეფხვის სიმკაცრე, ცეცხლის სიცხოველე, ყინულის სიცივე, ბაიყუშის ლაყბობა-ტიკტიკი, სიყალბე და მზაკვრობა კატისა; ყოველივე ეს პარაბრამამ ერთად შეაზავა და გააკეთა რა ესეთი მასსისაგან ქალი, მისცა ის მამაკაცს სიცოცხლეში თანამგზავრად.

დაჰყო რა ერთი კვირა პარაბრამასაგან ნაჩუქარ ცოლთან, პირველი მამაკაცი გამოცხადდა შემოქმედთან და მოახსენა:

— უფალო! არსება, რომელიც მომეცი შენ ცოლად მიწამლავს მე ცხოვრებას. ის განუწყვეტლივ ტიკტიკებს და დამიპყრო სრულიად. ის მუდამ სჩივის, თუმცა სამიზეზო არა აქვს რა და თითქმის მუდამ ავად არის. გეევედრები შენ, განმათავისუფლო როგორმე მისგან, მე არ შემიძლია მასთან ცხოვრება.

პარაბრამამ წამოიღო უკანვე თავისი უვარგისი ქმნილება.

ერთი კვირის შემდეგ მამაკაცი ხელახლა მივიდა შემოქმედთან:

— ჰე, უფალო, —აღიარა მან სინანულით, — მას შემდეგ, რაც მე განვშორდი ჩემ ცოლს, თავს მარტოხელ-უბედურად ვგრძნობ, ცხოვრება მოსაწყენად მეჩვენება, მე მოვიგონე უკვე, რომ ცოლი არა თუ მარტო ტიკტიკებდა, სჩიოდა და კვნესოდა, არამედ კიდევაც მიგალობდა ტკბილი ხმით და ნაზადაც მეფერებოდა. თუ მე არ მექნება შეძლება, ის უკანვე მივიღო—იძულებული ვიქნები, აღარ ვიცოცხლო ამ ქვეყნად.

სულგრძელმა შემოქმედმა შეიბრალა უბედური და ცოლი უკანვე დაუბრუნა.

მაგრამ არ გაუვლია სამ დღესაც, რომ ქმარი ხელახლა წარსდგა პარაბრამის წინ და დაიწყო ტირილი.

— ჰე, უფალო, —მე თითონ არ ვიცი, რა გორ მოხდა ეს, მაგრამ ეხლა კი სრულიად დავრწმუნდი, რომ ცოლი მაყენებს უფრო მეტს უსიამოვნობას და სიმწარეს, ვიდრე სიამოვნებას. გეევედრები შენ, განმათავისუფლო მისგან და ხელახლა წაიყვანო უკანვე.

— უმადურო! დაუყვირა მეტის მეტად გაბრაზებულმა პარაბრამამ, —წადი და გაუსწორდი თითონვე შენ როგორც იცი და გინდოდეს. მე მეტად აღარ გაგაყრი თქვენ. შენ ამბობ, რომ არ შეგიძლია მასთან ცხოვრება, მაგრამ დღეიდან სამაგიეროდ არ შეგეძლება უომისოდაც ცხოვრება...

ვასო.

შ ა რ ა დ ა.

ამ ჩვენს პატარა შარადას,
ორი შეადგენს ნაწილი
და თუ დაფიქრდით მცირედი,
გამოცანაა ადვილი.
პირველსა ნაწილს, ცხოველი
შეადგენს ერთი, ჭალისა.
სახლი თან დააქვს; თუ შეხვდი
წამსვე შიგ დაიმალვისა.
მუხლის გაწევა-ნავარდი
მას ეხერხება ავათა:
გამოყობს ჭოჭებს სახლიდან
და ხოხავს საცოდავია.
მეორე ნაწილს სიტყვისას
ადვილათ იცნობთ ყველანი.

იმა ოთხფეხის შვილია,
რომლისა ვიცით წყვლანი.
წინ როცა მოვწყვეტთ ერთ ასოს,
ორი დაგვრჩება, წყვილათა;
(შარადა ითხოვს მოწყვეტას,
თორემ რათ მოვწყვეტთ ტყვილათა?)
შემდეგ მოვაბათ პირველსა
მეორე სიტყვის ნაკვეთი,
და ნახავთ: სასწაულითა
სახლი გამოვა აგეთი,
რომელსა: ვინაც აკეთებს
აროდეს ხმარობს თვითანა,
ვინაც ყიდულობს, არც იმას
უხარის ეზოდ მიტანა:
ვისთვისაც დანიშნულია
ეგ სახლი სამყოფელადა,
ის ვეღარც ხედავს, ვერცა გრძნობს
ენასაც დასძრავს ძნელადა.
ვინაც შიგ შევა, გამოსვლა
არ უწერია იმასა
იქ ვერ შეიტყობს; ვერს სეტყვას
ვეღარც თოვლს, ვერცა წვიმასა.
თუ ახსნა კიდევ ძნელდება
და აღარა სჭრის გონება,
ერთ ისეთ წყაროს გაჩვენებთ,
სულყველას მოგეწონება:
„ანარქისტების“ წერილში
ამ სახლს ხატავდენ ხშირათა...
მისი მნახველი „ბურჟუა“
გამაგრდებოდა ძვირათა.

კოლო.

საკვირველი ამბავი.

უბედური შემთხვევა. როგორც თფილისის კუდუარებში ამბობენ, ცნობილ ქართველ კომერსანტს, ბ-ნ ახობაძეს კინაღამ უბედურება შემთხვევია. მოგეხსენებათ, ბ-ნი ახობაძე ყიდის ახალ სასმელებს: „კლოშოვინს“ (**სიკვდილი ბაცილინჯოებს!**) და აი უცაბედათ, სპერმატინის მაგივრათ მას დაულევია ერთი სტაქანი „კლოშოვინი“. უცებ გული შესწუხებია და წაქცეულა. დიდის წვალების შემდეგ მოუბრუნებიათ ღონე მიხდილი კომერსანტი. ექიმების აზრით ახობაძის მიერ მიღებული „კლოშოვინი“ 2000 სხვა ჯიშის ბაცილინჯოს გამოასაღმებდა წუთისოფელს.

მისტიური.

—

გადაჰხარაკდა ქვეყანა,
გამოიცვალა ყოველი
და სანუგეშო მერმისზე
არ ვფიქრობ, აღარ მოველი.
სანეტარ-ტკბილო ოცნება
იმედი განმაცხოველი,
ზამთრის ქარ-ბუქმა წაიღო,
ვინ არის მძებნელ-მპოველი!
ახლა დავრწმუნდი—ამ ქვეყნად,
რომ მაჩანჩალად მოველი;
ვდგევარ ცხოვრების გარეშე,
ვითარცა კათაკმეველი,
და აღარ მინდა იქ შესვლა,
არ მსურს, არცა ვარ მთხოველი*).

*) ზემორე თქმული ამისა
ეშმაკს არ მოეწონება!!
ვინაც წარიკვეთს იმედსა,
მას ძალა მოეფონება:
ყურნი დაჰკარგვენ სმენასა,
კუნთები მოედონება,
ენა სიჩლუნგეს დაიწყებს

ან კი რა მინდა იქ, სადაც
დახშულა კაცის გონება,
სად ყოველგვარი ღირსება
ლაქუცით აიწონება,
სადაც არ თქმულა სიმართლე,
არცოდეს გაიგონება,
და სინდისს, სანთლით რომ სძებნო,
ვერ ნახავ, არ იპოვნება.
მაშოროს ღმერთმა, არ მინდა
მე იქაური ცხონება,
ვიელი მარტოკა, ბოგანოთ,
მომწონს ეს... მომეწონება.
ცხოვრების ნაქირალებთან
რა მაქვს საერთო ქონება!
ვიცი, რომ ძაღლის ბუნაგზე
ფინჩხები არ იშოვნება,
და აღარც ვეძებ იქ რამეს......
ეს ასე მემახსოვნება.

ბლიკვაძე.

გაზარმაცდება გონება
მომავალს ზურგსა შეაქცევს
წარსული მოეგონება,
ავი და კარგი ერთგვარათ
აეწონ დაეწონება,
იტყვის ეშმაკი: შემირცხვეს
ესე ვითარი ცხონება
ოდესა აზრი ფხიზელი
სიძლუნგეს დაემონება.

ეშმაკი.



ქეშთი ბურჟუაძეს.

კომედია სამ მოქმედებათ.
(იმერეთის ცხოვრებიდან)

გამოსვლა VII

(ეფემია და შემდეგ პავლე)

ეფემ. შე კუდიანო, შენ! ეკურკურები იმ მასწავლებელს, მარა მოგიშლი ნარჩევს!.. (პაუზა) მეც რო ლამაზათ მოვაჩვენო თავი ჩემს სასიძოს, მგონი არც ამით დაშავდეს რამე. ლამაზი სიდედრი ყოველთვის მოსწონს სიძეს... (იცინის და ირთება).

ასე გეკადრება!

პავლ. (შემოდის) დედაკაცო, შენ ხომ არ აპირობ შენი ქალიშვილის მაგიერობას? რო იფეთქები რაო?

ეფემ. აბა ჩამოჩინჩული დოუხვდე იმ კაცს?

პავლ ა, ჩემო ეფენია, თუ საქმე მოვაგვარეთ, ჩვენს გვარში ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება, მამა ნუ წამიწყდება... გვარიშვილობა კარგი გვაქ და თუ ამას ფულებიც მივამატეთ, მორჩა... მდიდარი სიძე ყოველთვის კარგია, სულ მივყიდოთ, რაც დაგვრჩა მიწა-წყალი და ქალაქში წავყვეთ საცხოვრებლათ... ზოგი, რასაკვირველია, კიდეც ვამზივთოთ... ეხლავე უნდა ჩამოვუარაკო ასე. აა. . ხო კარგად იქნება ეფენო ჩემი საქმე?!.

ეფემ იცოცხლე, ჩვენ ბედს გადევყაროთ! ქუთაისი, ტფილისი, ჭიათურა და ბათუმი სულ ჩვენი იქნება... სულ გვაცხოვრებს, მოვშორდეთ ამ სოფელს..

პავლ. მოვშორდები აბა! ნეტავი ახლობამდის არ გავჩერებულიყავი, რა შეგვძინა ამ დასაქცევმა სოფელმა? (პაუზა) ანი? იფ! გულიც რო მიჭრის ქალო, გულიც... სწორით ბედია!.. ასე მგონია, საქმე უკვე გაკეთებულია და მე და შენ ჩემო ეფენო მარშინით მივტრიხინ-მოვტრიხინობთ ქალაქიდან ქალაქში.. ანი? შენი გული რას გეუბნება ჩემო დედაბერო?..

ეფემ. დედაბერიც კი ხარ და მეტიც...

პავლ. კაი, ბიჭა, გემასხარე, მამა ნუ წამიწყვდება!

ეფემ. ჩემი გულის კარები, შენ რავაც თქვი აი საქმე, მაშინვე გეიდო... ასე მგონია, მიხეილ ბელტაძე უკვე ჩვენი სიძეა და ეხლა ცოლოურს მოდის... ისე გვიჭრის ორივეს გული, სწორეთ ჩვენი იღბალია ის კაცი.

პავლ. მგონია ჩიტულია და ის ერთად სწავლობდენ სოფლის კლასში? ან? თუ გახსოვს?..

ეფემ. კი, კი! რავა არა? ჩიტულიამაც თქვა.

პავლ. ჩიტულიამ თქვა? (**ეფემია უმოწმებს**) აბა იმასაც ქონია რაღაც გულში!.. მამა ნუ წამიწყვდება, ის კაცი ჩვენი იღბალია!.. იცოდე შენ!..

ეფემ. გულში აქვს და მეტი არა? რავაც კი ვუთხარი, სულ გაწითლდა და სიხარულით დეიბნა.

პავლ. აა, ის კუდიანი, ისა! კაცების ამორჩევა რო ქე იცის. ღმერთო, მოგვეცი იღბალი!.. (**ამ დროს კარებში ერთი აურ-ზაური და მიხლა-მოხლა ატყდება. ისმის შიშტიბუქს და ჩიტირეკას ხმა: „არა, მე შევალ უწინ და არა მეთ“**).

გამოსვლა VIII

შიშტ. (შემოვარდება) ბატონო, მევიდა ის კაცი, მევიდა!..

ჩიტირ. (**ისიც შემოვარდება**) არიქა ბატონო, მოგვადგა ის კაცი!.. ჭიშკარზეა, ჭიშკარზე...

პავლე და ეფემია. ნუ ყვირით, ნუ თქვენ გასასრესლებო!..

შიშტ. ბატონო, ფაიტონითაა, ფაიტონით.

პავლ. მამა ნუ წამიწყვდება... (**უწყრება**) მე გევეგებები, შენ აქ დამხვდი, ის გოგოც შემოიყვანე!..

ეფემ. კაი, კაი... თქვენ ნუ ირევით, თქვე გასასრესლებო!.. ღმერთო, კაი ფეხზე შემოიყვანე, ღმერთო...

ჩიტირ. მერე რა დიდარიაო, ბატონო, იცი? ადვილი ბურჯუაძეაო, თელი სოფელი ასე იძახის...

ეფემ. ცუდი დოუძახებიათ! ძალიან კარგია!..

შიშტ. უცოლო კიდო ქე ყოფილა, ქალბატონო.

ეფემ. უცოლო, თვარა შენ გითხოვს, თუ არ მეერიდე შენმა მზემ! არ მოეწონები თუ?

ჩიტ. მე არ მიყურებს? მაგისთანა ბურჯუაძეს დავანებებ ჩემ ცუნდრუკას?

შიშტ. იფ, არ იზამ შენ? დეიკარგე შე გლახა, თვალ ჩამოჩინჩულო... (**ჩიტირეკა უახლოვდება, ჩუმათ უნდა აკოცოს, მარა არ იკარებს**).

ეფემ. წადით ახლა, უზრდელებო! (**გარეკავს კარში**) ღმერთო, კაი ფეხზე შემოიყვანე ჩვენს ოჯახში მიხეილ ბელტაძე! ღმერთო დღისწორებიზა თავზე გვირგვინით მანახე ჩემი ჩიტულია!.. (**გადის, სცენა ერთხანს თავისუფალია**).

გამოსვლა IX

(პავლე და მიხეილი)

პავლ. მობძანდით, მობძანდით, ბატონო, მიხეილ! მობძანდით, თქვენი სახლია, ნუ დაგვერიდებით... (**შემოდის და თან დიდის მოწიწებით ეპატიჟება**).

მიხეილ. გეახლებით, გეახლებით! ნუ შეწუხდებით... (**შემოდის. მდიდრულათ ჩაცმულია, ჩერქეზკაშია; იარაღში ზის, „ბოხოხის ქუდი ხელში უჭირა**). აქამშვიდობა, აქამშვიდობა! (**შიშტიბუქა და ჩიტირეკა კარებიდან იჭყიტებიან. პავლე დააფრთხობს და ისინიც იმალებიან**).

პავლე. დაბრძანდით მიხეილ, მამა ნუ წაგიყდებათ... უკაცრავათ...

მიხ. არაუშავს... (**ჯდება**).

პავლ. სხვა, როგორ გიკითხოთ, ხო კარგად?

მიხ. გმადლობთ, ვართ ასე... ერთნაირათ.

პავლ. უე კაი კაცო, რაა რო ჩვენი ოჯახებისკენ თვალი არ გიჭირავსთ? ცხონებული მამათქვენი დიდი მეგობარი იყო ჩემი, ძალიანიც გვიყვარდა ერთმანეთი ..

მიხ. ხომ იცით, კაცი რო საქმეებში გეებმევა, მერე ძვირათ მოიცლის...

პავლ. მერმე, რა მართალი კაცი იყო ცხონებული მამათქვენი? მამა ნუ წამიყვდება მთელ სოფელში მაგაზე მართალი ყაძახი ერთი არ იყო...

მიხ. აგრე მოგახსენებ, თორემ მე ბევრი არაფერი მახსოვს მისი... (**ჩუმა**).

პავლ. სხვა, დედათქვენი როგორ ვიკითხოთ? ხომ კარგად?

მიხ. გმადლობთ.

პავლ. (**იცინის**) სხვა მიხეილ, ცოლის შერთვას აწი არ აპირებ? ასე უნდა იაროთ? გოუხარეთ დედას გული! აგრე რო იცით ახლანდელმა ყმაწვილებმა! ჩვენს დროში ასე როდი იყო: მოუვიდოდათ დრო კაცს და ქალს თუ არა, მაშინვე აიდა, თავი საყდარში... (იცინიან).

მიხ. ეხ, რასაკვირველია, ცოლი უნდა შევირთო, მარა საქმე იმაშია, **რომ** ჩემი ყაბულის დღემდევე ვერავინ მიშოვია და ესაა რო მაჩერებს. ფულიანიც მინდა ქალი და ლამაზიც (**იცინის**).

პავლ. ოო, რასაკვირველია! აბა როგორ უნდა! თქვენ ძალიან კაი ქალი გეკადრებათ... მზითევიანიც, ლამაზიც, ოჯახიშვილიც... თქვენ ვერც ერთი აზნაური ვერ დაგიკავებს ქალს... მამა ნუ წამიწყვდება...

მიხ. (ირონიით) ოო, აზნაური... აზნაური!.. (თავისთვის) შენი აზნაურობა შენს თვალებში იყოს, ძაღლები დაწოლილი გიყეფს ეზოში... შიმშილით ვერ ამდგარან...

ბაგდ. ოო! მამა ნუ წამიწყდება... აზნაური... დიახ...

მიხ. (უგემურათ) მმ... დიახ!.. (შიშტიბუქა და ჩიტირეკა კიდევ იშვრიტებიან. ბაგდე ეზიდაც დაიცინოთხობს მათ).

გამოსვლა X

(იგინივე და ეფემია)

ბაგდ. რას იმალები ჩემო დედაკაცო, მოდი აქ! ასე უნდა სტუმარს დახვედრა? აგრე იცოდი შენ? ეხ, მომიხუცდა, მომიხუცდა ჩემი ეფენია, ბატონო მიხეილ... (იცინის).

ეფემ. (გამოდის თამამათ და ესალმება) დაბრძანდით, დაბრძანდით! უკაცრავათ...

მიხ. კი ბატონო! (სხდებიან).

ეფემ. სხვა ხომ მშვიდობით ბრძანდებით ბატონო, დედათქვენი ხომ კარგად?

მიხ. გმადლობთ, ბატონო, გმადლობთ, კარგად...

ეფემ. კარგად გამყოფოს შვილო ღმერთმა...

მიხ. იცოცხლეთ. თქვენ როგორ გიკითხოთ?

ეფემ. დიდათ გმადლობთ, ვართ ასე... (ბაუზა) თქვე დალოცვილო, რაა რო ერთხელაც არ გადმოიხედავთ ჩვენსკენ, მანამდი უფრო იცოდით სიარული და ახლა სულ ეიკარით ფეხი. მართალია აზნაურები კი ვართ, მარა ჩვენც ადამიანები ვართ... დედათქვენი ხშირი სტუმარია ჩვენი და თქვენ კი...

მიხ. რა ვქნათ, ქალბატონო, თქვენც მოგეხსენებათ, რომ მე ნახევარჯერ არა ვარ სახლში. ხან თბილისში ვარ, ხან ჭიათურაში და ხან კიდევ სად?..

ეფემ. ხოო, ესეც მართალია, მარა...

ბაგდ. ჩემო დედაკაცო, ეს გოგო რეიქნა? სტუმართან არ გამოვა?

ეფემ. როგორ არა, ენაცვალოს დედა მისი! მარა მორცხვია მისი ჭირიმე, მორცხვი! (იცინის) აბა, რო ვერ შეეჩვია! (მიხეიდი ამსუნაგებული ათვალიერებს იქაურობას; ქალის სახელის გაგონებამ ეურები აცქვეტია).

ბაგდ. ბე ქალო, ბოვში ხომ არაა იმხელა ქალი!..

ეფემ. (დიმიდით, მიხეიდს) თქვენ და ჩემი ქალიშვილი პატარაობისას მგონი ერთათ დადიოდით კლასში... ან?

მიხ. როგორ არა, მახსოვს!..

ეფემ. დიახ... მისი ჭირი დედა მისს, ხშირათ იგონებს იმ დროს, დღეში ერთი ათჯერ მაინც მოგიგონებს თქვენ... დედა ენაცვალოს დედა, კეთილი გულისაა...

მიხ. დიახ... სკოლის გათავების შემდეგ ის სხვაგან წაიყვანეთ სასწავლებლათ, მე კი თავი დავანებე... მაშინ ძალიან ამხანაგები ვიყავით, ეხლა კი... არ ვიცი!..

ეფემ. უი, ჩემი სიკვტილი, განა ეხლა არ ეხსომებით?! ეს როგორ შეიძლება! ჩემი შვილი ზოგიერთებივით კუდაბზიკა და უკადრისი როდია!..

ბაგდ. რასაკვირველია, ჩემი შვილი, მამა ნუ წამიწყვდება...

მიხ. არა ბატონო, მე ისე ვთქვი, საწყენათ კი არა...

ეფემ. თქვენ არ მომიკვდეთ, როგორ შეიძლება!..

ბაგდ. რა დამიჭდა მისი სწავლა, რომ იცოდეთ მ-ხეილ! პირდაპირ გევიყიდე კაცი, გევიცალე... შვილი ასეა ყოველთვის... აი თქვენც მოგასწრებს ღმერთი და...

ეფემ. რასაკვირველია.

ბაგდ. შვილის გამოზდა ჩვენს დროში, მამა ნუ წამიწყვდება...

ეფემ. უკაცრავად, მე ეხლავე შემოვიყვან ჩიტულიას, მორცხვია და ალბათ ვერ შემობედა. (მიდის)

გამოსვლა XI

(ბაგდე და მიხეიდი)

მიხ. სხვა, ბატონო ბავლე, გეცოდინებათ მე რისთვის მოვედი...

ბაგდ. ვიცი, ვიცი... მარა რაზე ჩქარობთ? ჯერ ვიმუსაიფოთ სხვებზე და მერმე იმასაც მოვესწრებით... ვიზაკუსქოთ, ერთი მეორე და სხვა...

მიხ. მეჩქარება, თორემ ხათრს არ გაგიტეხდით. საქმე იმაშია, რომ ის ადგილი უსათუოდ უნდა მომყიდოთ, რაც ეღირება ფასს მოგცემთ. დიდი ფარგალი მინდა შევკრა და თქვენი ადგილი მიშლის ხელს, აოდივითაა შეკრილი..

ბაგდ. კი ბატონო, კი, მიირთვით. უნდა გავყიდო, აბა რავქნა. ერთი ქალიშვილის მეტი არაფერი გამაჩნია და ისიც იმას უნდა მივცე მზითევათ...

მიხ. ის ადგილი ქალიშვილს გინდათ ამზითოთ?

ბაგდ. (გახარებული) დიახ, ქალიშვილს, უნდა გავათხოვო, მარა ისეთ კაცს ვეძებ, რომელიც მე გამიტანს, შვილივით უნდა შემინახოს რაღა... მართალია ჩემი ჩიტოს გათხოვება ჯერ საჩქარო არაა, მარა... (ბაუზა) ეხ, ჩემო მიხეილ!.. რამდენი მიწყს

პატრონი ვიყავით მამა ნუ წამიწყვდება ჩვენ, საშარაძეები, ეს სოფელი თითქმის სულ ჩვენი იყო, ორი ამდენი ხხვაგანაც გვქონდა, ეხლა კი ზოგიერთებს მჭადის მოსაწევიც არა გვაქ, სულ გლეხებმა იყიდეს...

მეხ. ეხ, რას იზამთ, ცხოვრებამ ასე მეიტანა (ბაუზა) ფასი უთხარით, რა ეღირება.

ბაგლ. ათი ქცევა... (ფიქრობს) უკანასკნელი 2 ათასი ეღირება, სწორეთ მზითვიც ამდენი უნდა მივსცე ჩემს ჩიტოს...

მეხ. ოო, ეს ნამეტანი ბევრია. შე კაცო, ხომ იცი ჭადის მოსაწევათ არ მინდა მე ის ადგილი, დიდათ არ მიჭირს გეცოდინებათ, მაგოდენა ადგილი ოც ადგილას მექნება, თუ მომცემთ ხელსაყრელ ფასებში ხო კაი და თუ არა და... მე რო მაგოდენი ფული სოფელში ჩავყარო, ხომ იცით... მე რო მაგ ჭკუით მევაჭრა, ახლა...

ბაგლე. არა შე კაცო, მე საწყენათ კი არ მითქვამს, ჩემი სიტყვა ბეჭედი კი არაა, ქე დააკლდება.

მეხ. თქვენ კარგად უნდა იცოდეთ, რომ ახლა ძალიან დაცემული საქმეა, ქესატობაა...

ბაგლ. რიგორ არა ჩემო მიხეილ, ვიცი! თქვით თქვენ რას მისცემთ?.. რა ვქნა, მეც ერთი ღარიბი კაცი ვარ, ქალიშვილი უნდა გავათხოვო, მზითი უნდა მივსცე. მართალია გვარიშვილიც კაია, ოჯახისაც, ნასთავლიცაა, ლამაზიცაა და ვერავინ დამიწუნებს, მარა... მაინც... მაინც ჩემი ქონება ჩემს შვილს უნდა ექნეს მის მეტი მე არავინ ძყავს, ჩემს მერე კი სულ ყველაფერი მისი იქნება... ბევრი მეხვეწება უმზითოდ წევიყვანთო, მარა თუ ჩემი საგაჩულო არ იქნა, ისე არ შეიძლება. ვინც მე მომეწონება, იმას უნდა მივცე... ასე ჩემო მიხეილ, მეც ასე მაქვს საქმე და ხომ ტყვილათ ვერ დავკარგავ.

გამოსვლა XII

(იგინივე, ჩიტულია და ეფემია)

ეფემ. შემოდი შვილო, შემოდი, ვისი გცხვენია? ერთათ გაზდილი ხართ, ერთი სოფლის შვილები ხართ...

ჩიტულ. (შემოდის ამაყათ და ცივათ ესალმება) დაბრძანდით!

მეხ. გეახლებით... სხვა როგორ გიკითხოთ ბარიშნა?..

ჩიტ. გმადლობთ!.. დაბრძანდით. (მიხეიდი ჯდება).

ბაგლ. მაგას რა უპირს ჩემო მიხეილ, ნეტარებაშია! სასმელი არ აკლია და საჭმელი, ტანი და ფეხი... მე შენ გეტყვი უსთავლელია!.. ყველაფერი აქვს, ყველაფერი. ოღონდ ეხლა ქმარი უნდა იშოვოს. (იცინიან).

ჩიტ. მამა, რა არის...

ბაგლ. ოო, შვილო, შვილო! ტყვილია აბა, რო მონაზვნათ ვერ გაგიშვებ!.. აა, შენც არ მომიკვდე, მაგი არ შეიძლება... (ბაუზა).

ეფემ. (ჩუმათ, ქმარს) ჩვენ გავიდეთ და ესენი აქ დავტოვოთ.

ბაგლ. (ისიც ჩუმათ) კარგი იქნება, კარგი, ილაპარაკონ...

ეფემ. (ხმა მაღლა) ნეტავი ის გოგო და ბიჭი რას შვებიან, გააკითხე შე კაცო.

ბაგლ. ოო, მართლა კაი მომაგონე. ზაკუსკისათვის უნდა მოვემზადოთ ქალო... უცხო სტუმარს „ღვინის დასალევი“ უნდა. (მიდის. მიხეიდი ჩიტულიაზეა მიჩერებული. ეფენია ამჩნევს ამას და უხარია).

მეხ. რაზე მოიწყინეთ ქალბატონო? სთქვით რამე...

ჩიტ. ახალი თქვენ გეცოდინებათ რამე...

ეფემ. შვილებო, თქვენ ილაპარაკეთ და ჩვენ ოჯახს მივხედავთ... ახალგაზრდები ხართ, იქნება კარტი, ან ნარდი ითამაშოთ... (გადის).

გამოსვლა XIII

(ჩიტულია და მიხეიდი)

მეხ. (დგება ზეზე, თამამათ) თქვენ დიდი გაზრდილხართ მას აქეთ ბარიშნა, გახსოვს კლასში ერთად რო დავდიოდით? (მიიწევა).

ჩიტ. (თავს უხერხულათ გრძნობს) მახსოვს...

მეხ. გამშვენიერებულხართ კიდეც... გალამაზებულხართ. (კიდევ მიიწევა. ჩიტო შეკრთება, ერიდება) ჩვენ სოფელში მეორე არავინაა თქვენსავით ლამაზი, ნარნარი, ტურფა... კი გაქებდენ, მარა, როდი მეგონა თუ მართლა ასეთი იყავით, (უფრო მიიწევა, ჩიტო დგება) რა იყო ქალბატონო, ხომ არ გაწყენიეთ რამე? რაზე ადექით ზეზე? (თავისთვის) ღმერთო ჩემო, ეს რა ლამაზია! ღმერთმა მომკლას, თუ ეს არ ჩავიგდე ერთი ხელში, (ხმა მაღლა) უკაცრავათ, დაბრძანდით...

ჩიტ. (ნაწყენი) არა უშავს...

მეხ. თქვე დალოცვილო, როგორ არა უშავს, თქვენისთანა სათუთი (ხელს უწევს) თქვენისთანა...

ჩიტ. თქვენ მგონი ზრდილობაზე მწყრალათ ბრძანდებით!..

მეხ. (შეკრთება) რათა, განა მე რამე ცუდი ჩავიდინე? ბოდიში ქალბატონო, თუ ასეა. (თავისთვის) შენ თუ არ ჩაგბროშთე ამ წუთში, ისე ღმერთმა ნუ მაცოცხლოს. სანამდი წადილს არ ავისრულებ, მანამდი ფეხსაც არ გადავდგამ აქედან. (ხმა

მიდ.) თქვე დალოცვილო, მე ადამიანს კი არ ვჭამ...

ჩიტ. მაინც ზრდილობა საჭიროა...

მიხ. თუ ცუდათ ვიქცევით, გვიბრძანეთ და უხლავ წავალთ აქედან (თავისთვის) კეტი რომ მირტყას, ფეხს მოვიცვლი?

ჩიტ. როგორც გნებავდეთ...

მიხ. (წყენით) ეს როგორ შეიძლება? სტუმარს მიმდენით, (მიიწევა ხელს მოავლებს, ჩიტო კაუსხლტება).

ჩიტ. ვინ ბრძანდებით თქვენ ვაუბატონო? რა ზნეობის პატრონი ხართ? სად გგონიათ თქვენი თავი?! უზრდელი, გარყვნილი! უცხო ოჯახში შემოსვლისთანავე ამისთანებს ბედავს... გაეთერით აქედან! გათახსირებული ჩარჩი, გარყვნილი ბურჟუიკა... გამსუნაგებული! (კიდის კაკაბასებული).

მიხ. მოიცა შვილოსა! ძალიანს კაპასობ, მარა შენ თუ არ ჩაგიგდე ხელში და არ აგაჭრიჭინე, გლახა დამიძახე. შენისთანა გაქუცული აზნაურის ქალები ბევრი შემისრესია და შენც იმ დღეს დაგაყენებ... ჯერ დაგანახო ფულები!.. გაიგონო ასიანების ტაციცინი... (ბუზს) ახ, რა ლამაზია, რა ლამაზი! რა შესახედავი იყო გულ მოსული!..

XIV

(მიხეილი, ბავლე და ეფემია)

მიხ. სწორეთ ძალიან დამშვენებულა თქვენი ქალიშვილი! ძალიან ლამაზი დარჩენილა, ღმერთს გეფიცებით... იფ... წუნი არ ეთქმის...

ეფემ. (გმაუოფილი) კაია, ენაცვალოს დედა მისი... (თავისთვის) ღმერთო შენს მადლს...

ბავლ. ასეა მამა ნუ წამიწყვდება, ჩემი შვილი რო გლახა გამოსულიყო... (ეგვლანი იტინიან).

მიხ. მარა დიდი მორცხვი კია, დიდი... ხა... ხა... ხა...

ეფემ. აბა! ზოგიერთებივით თამამი და თავაშვებული როდია, ენაცვალოს დედა... ჭკვიანია...

ბავლ. როგორც მე შემფერის. მე... ხა... ხა... ხა .. მამანუწამიწყვდება...

ეფემ. ალბათ შერცხვა თქვენთან მარტო ყოფნა, არა?

მიხ. და მერმე როგორ? ერთი ხმაც ვერ გავიღებინე. (თავისთვის) ერთი იცოდე, რა დღე დავაყენე? (ხმა მადლ.) სასახელო შვილი კია...

ეფემ. ახლავე შემოვიყვან იმ კუდიანს, იმას... (კიდის).

ბავლ. ნამეტანი თამამი ქალი როდი ვარგა ჩემო მიხეილ... უკაცრავად, იქნებ თქვენ კიდეც გწყენოდესთ, რომ ჩემოვო გეუბნებით, მარა მამანუ წამიწყვდება მე ყველაზე ასე ვიცი, ვინც მიყვარს... ჩემს თავს ვფიცავ, რო ბატარობიდან მიყვარხართ...

მიხ. არა უშავს, მე მიყვარს, როცა კაცი უბრალოთ მექცევა.

ბავლ. (იტინის) ოო, აგრე, აგრე! მეც ეს მიყვარს. (ამ დროს ეფემიას ძალით მოეკვრა გულმოსული ჩიტულია, რომელიც კარებში გაუსხლტება და გაექცევა).

ეფემ. რა მორცხვია, რა, ეს გაძვირებული! რავა გამექცა?..

ბავლ. აა, შე ეშმაკო, შენ!.. ჩიტო, ჩიტო!.. (თითით ემუქრება, საკრთო სიცილია, ეგვლასზე გამხიარულებული მიხეილია. ამ დროს შემოვარდებიან ჩიტიერეკია და შიშტიბუქა).

ჩიტარ. ბატონო, რა მია საქმე, ჩვენც ვიცინებთ...

ბავლ. აი თქვე ტუტუცებო, თქვენ!.. დეიკარგეთ აქედან!.. (ისინი კარბიან).

ფ ა რ დ ა.

(დასასრული იქნება).

ვ. მალაქიაშვილი.

მათრახის ფოსტა.

ბათუმი. ა. ცი—ელს. თქვენ კი გვთხოვთ, მაგრამ თქვენი ლექსი არ გვანებებს თავის დაბეჭდვას.

,,ვზივარ მარტოდ, გულის ძგერით
შევსცქერ მაღლა ლაჟვარდ ცასა,
და მწუხარე ხან სიმღერით
ძირს ჩავიქნევ ტანჯულ ტანსა''.

საზოგადოთ ისეთ უსიამოვნო მდგომარეობაში, როგორშიაც ოქვენ ეს ლექსი დაგიწერიათ, ,,ტანჯულ ტანს'' კი არა, თავს ჩაიქნევენ მხოლოდ და იტყვიან: ,,არა შეჯდა მწყერი ხესა,.. არც მე დავწერ ამის მეტსაო''.

სადმე. ასკ ს პირელს. არ დაიბეჭდება.

სვირი. ორ-სოფელელს. არც ვალოდია ,,კვირტიასა'' და არც ვალოდია ,,ჭუკის'' შესახებ წერილები არ დაიბეჭდება.

ოკრიბა. მოწაფეს. ასეთი ფსევდონიმიც რომ არ მოგეწერათ, თქვენი ლექსიდან ცხადათ სჩანდა, რომ თქვენ მოწაფე ბრძანდებით.

,,ცას ანათებს ვარსკვლავი,
დაკარგვია მზეს სხივი,
ბაღში ჭყივის ბულბული,
ტყეში ღიღინებს დათვი
მე კი არ მტოვებს სევდა,
თავი მიხმება კრული,
უდროოთ სიყვარულმა
დაჩაგრა ჩემი გული''.

აქ საინტერესო მხოლოდ დათვის ღიღინი და ,,თქვენი კრული თავის გახმობაა''.



ქ. ჟენევა.

ნაპირის ქუჩა, სახლი 13.

ქამელეონ ქორიძეს.

„კარგი რამ გვჭირდეს გვიკვირდეს,
ავი რა საკვირველიაო“

უთქვამს მგოსანს და ეს თქმულება მართლაც რომ ზე გამოჭრილია დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაზე.

დღეს ჩვენ განვიცდით „პრესის დაცემის“ ხანას!

ყველა ადგილობრივი გაზეთი ამაზე სტირის და მოსთქვამს, ყველა „ცნობილი“ მწერალი ამ საკითხს ეხება და არკვევს. მიუხედავათ ამისა ჯერ საკითხი გაურკვეველია და „პრესის დაცემის“ საქმე პროგრესიულათ მიმდინარეობს განვითარების გზაზე.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, არც თქვენი, ჟენეველი ქართული კოლონიის საქმეა ძლიერ აყვავებული, მაგრამ ჩვენსას ალბათ მაგიც სჯობია. თქვენ ადმინისტრატიული თვითნებობის მუხრუჭში ხართ შებოჭილი და ის გაბრკოლებთ, ხოლო ჩვენ, ასეთი შევიწროებისაგან სრულიად თავისუფალთ მარტო ქართული სიზარმაცე და დაუდევრობა გვიღებს ბოლოს.

ამ დღეებში მომხდარ ინციდენტთა შორის ყველაზე მეტ ყურადღებას „მიმინოს“ ამბავი იპყრობს, ხოლო ყველაზე ნაკლებს ტიტეს თინბაზობა. ორივე პრესის დაცემას შეეხება და ამ წერილში აღარ ვეხები, რადგან ცალკე მოხსენებებშია გარკვეული და ამ ეპისტოლესთან ერთად ისიც გაეგზავნება.

ახლა, თქვენი უკანასკნელი თხოვნისამებრ, მოგახსენებ ჩემს აზრს ჩვენებურ დრამატურგების შესახებ და აქედან თქვენ როგორც გინდოდეს, ისეთი დასკვნა გამოიყვანეთ.

დრამატურგობა, ბ-ნო ქამელეონ, ერთგვარი სენია დღევანდელი ჩვენი საშვალო, თუ გიცე საშვალო ინტელიგენციის. რომელ ნაცნობთანაც გინდა შეხვიდე, რომელი რედაქციის თარო გინდა გასინჯო, ყველგან შეხვდებათ რამოდენიმე თუ არა, თითო ცალი ახალი ხელნაწერი დრამისა. სწერენ უღმერთოდ, დაუზოგველათ.

ჭკვიანი კაცებისაგან გამიგონია: როცა ვინმე Perpetuum mobile-ს (მუდმივ მოძრაობა) დაუწყებს ძებნას, იმისი საქმე ჭანდრაკულათ არის შესახებ კეთილ გონიერებისა. არ ვიცი ეს რამდენათ მართალია, მაგრამ როდესაც მე რომელიმე ჩვენებურ კორესპონდენტზე გავიგებ: „ამან ესა და ეს დრამა დასწერაო“, გული სიბრალულით მევსება და თვალები ცრემლებით. იცი მშვენიერი, კარგი მოსაქმე ახალგაზრდა; გიყვარს გულწრფელობისა, გაბედულობისა და თავდადებისათვის; ერთი სიტყვით პატივსა სცემ, როგორც საყვარელ მუშაკს და ერთ მშვენიერ დღეს ხედავ, რომ მასაც დრამა დაუწერია!

ოჰ, ღმერთო ჩემო! რომ ვიცოდე ვინ მოიგონა ეს ოხერი დრამები!!!

თქვენც, ბ-ნო ქამელეონ, არ გიცნობთ, მაგრამ როცა გავიგე, რომ დრამა დაგიწერიათ და ისიც „ჯაშუში“, ერთობ აღმეძრა გულში გრძნობა მწუხარებაში თანაგრძნობისა. ქართველებს ბევრი ჯაშუშები გვყავდა და გვყავს, მაგრამ თითოზე თითო დრამის წერა ხომ არ შეიძლება, ჩემო კეთილო? და თუ არ ვცდები, თქვენი დრამა „ჯაშუში“, ეს მეცხრე დრამაა ქართულ ენაზე ჯაშუშთადმი მინაძღვნი.

მე რა რჩევა უნდა მოგცე ამ სამწუხარო ამბის შემდეგ, როგორ უნდა გაგკურნო თქვენი მწუხარება, აღარ ვიცი. თუ შეგიძლიათ, დაატანეთ თავს ძალა, გადაეჩვიეთ ამ სავალალო ჭირს. შეგიძლიათ მაგალითად, ჯიბეში მოხალული „სემიჩკა“ იქონიოთ და როცა დრამატურგობის სურვილი იერიშს მოიტანს თქვენს არსებაზე, ამოიღოთ ჯიბიდან სემიჩკა და ტკვერა დაუწყოთ. ამ სახით ბევრი ენერგიული ადამიანი პაპიროზის წევას ეჩვევა, და დრამატურგობა რაღა ისეთი დაუძლეველი რამეა.

ახლა კი მშვიდობით. იმედი მაქვს, ჩემ რჩევა-დარიგებას საწყენათ არ მიიღებთ და შემდეგშიაც მომმართავთ, თუ ასეთი უბედურობა რამ კიდევ შეგემთხვევა.

ეშმაკი.

წერილები ეშმაკისადმი

სამტრედია. სამხედრო წესების მოხსნა პირველ ყოვლისა ფოსტის მოხელეებმა [იდღესასწაულეს.

დროს ატარებენ საამოს
დღიან-ღამიან ხარობენ,
არლანსაც ეტანებიან
დუდუკსა არა კმარობენ.

სიცხეც ხელს უწყობს რასაკვირველია ღამით დროის ტარებას და დღითი ნეტარებას.

მარტო ალექსი ჩხენკენილი
დადის მდუმარე ქუჩადა,
საბრალო! ეშმაკს დაეძებს
ძებნა კი მიდის ფუქათა.

ეწერი. ადგილობრივ მოსამართლეებს ერთი თავსატეხი საკითხი გაუჩნდათ გადასაწყვეტი.

საქმე იმაშია, რომ სამტრედიის მახლობლათ დაიქირეს ორ სართულიანი ცხოველი. ზედა სართულს შეადგენდა სტრაჟნიკი ისმაილი, ხოლო ქვედას ილარიონის ცხენი· ორივენი ერთად ქობულეთისკენ მიეშურებოდენ. ასტყდა საჩივარი იმის შესახებ თუ ვინ ვის იპარავდა: ცხენი ისმაილს, თუ ისმაილი ცხენს. ვნახოთ სამსჯავრო როგორ გადასწყვეტს ამ საინტერესო დავას.

პატარა «ბზიკი».

—

დაბა აბაშა. (სამეგრელო) ივნისის შუა რიცხვებში აქ სამწუხარო ამბავი მოხდა: ადგილობრივი ფოსტალიონი ი. გაგუა, რომელიც თავისის პატიოსნებითა და საქმის ცოდნით გაცილებით მაღლა იდგა აქ ყოფილ ფოსტალიონებზე, შეუბრალებლად მოკლეს უბრალო თოფით ადგილობრივ ფერშალ ს. გაბილაიას სახლში ვახშმის დროს. მიუხედავათ იმისა, რომ ეს შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა ზედ ბოქაულისა და სტრაჟნიკების ბინასთან, არც ერთი პოლიციელთაგანი და სტრაჟნიკი წამლად არ იშოვებოდა, ყველანი თითქოს განგებ სადღაც გადაკარგულიყვენ. ექვი მაშინვე მიიტანეს ადგილობრივ ბოქაულის ნათლულ მატახურიაზე, რომელიც ერთი თვის წინეთ აბაშის ფოსტაში იდგა სტოროჟათ; იქიდან გამოგდების შემდეგ აბაშის ბოქაულთან იდგა და ეხმარებოდა მას გადმოწერაში. ბოქაულმა ხელის დაფარება დაუწყო მატახურიას და არც კი დაატყვევა, მაგრამ მაზრის უფროსმა ვაჭრების თხოვნით ადგილობრივი ბოქაული განაშორა ამ საქმის ძიებას და დანიშნა სხვა, რომელმაც ბევრი საბუთები აღმოაჩინა მატახურიას გამამტყუნებელი, სხვათა შორის თოფიც იპოვა თვით ბოქაულის სახლში. მატახურია გაგზავნეს სამაზრო ციხეში.

— დამტკიცდა აბაშის ფოსტასთან ტელეგრაფის განყოფილება, აპარატიც ჩამოტანილია, მაგრამ შიშის ზარები მიპყრობს, ვაი თუ ახალმა ტელეგრაფისტმა, მხარი დაუჭიროს ბანქოს თამაში ფოსტის უფროსს; უკანასკნელის ბინიდან ყოველ ღამ გაისმის ხოლმე „ჩერეზ, ჩერეზ, ფას."

აგენტი.

—

ს. სამიქაო. (სამეგრელო) აქ ყოველ ოთხშაბათობით იმართება ბაზრობა, რასაც უმეტეს წილ მოარშიყე ქალვაჟები ესწრებიან. არშიყობა პირველ რიგზეა დაყენებული, თითქოს უამისოთ ბაზრობა მოისპობა.

ადგილობრივ სამინისტრო სკოლის მასწავლებელი გრიგოლი მიქაძე დღეს არ გაუშვებს ისე, რომ ვისმე არ უჩივლოს. ხონისა და აბაშის ფოსტის უფროსები განცვიფრებაში მოდიან გ. მიქაძის მიერ ამდენი პაკეტების გზავნით. ყველა მოხელეს, როგორც სამოსწავლო უწყებისა, ისე პოლიციისას

თავი მობეზრებული აქვთ ამ მასწავლებლის საჩივარ-რაპორტებით. უჩივა საზოგადოებას, მამასახლის, მწერალს, ბოქაულს, ინსპექტორს, ერთი სიტყვით ყველას, ვისაც მასთან რაიმე დამოკიდებულება აქვს. საზოგადოებამ ბევრჯერ ითხოვა მისი გადაყენება, მაგრამ ამაოდ, არავინ უსმინა. სკოლის სტოროჟები შავ-დღეზეა მიყენებული, ყოველ დღე 20-30 ვერსტს აკეთებენ, ხან ხონში, ხან სამტრედია აბაშა-ში. ძმაო ეშმაკო, სცადე შენი მწარე მათრახი, ეგება ამან გაასწოროს ეს ვაჟ-ბატონი.

....ძე.

—

თამამშ. ქარვასლა. ძმაო ეშმაკო! შეჩერდა თქვენი მათრახის ტრიალი და შეჩერდა ნოქრების ცხოვრებაც. (რასაკვირველია დიდი უმცირესობის გარდა) სამაგიეროთ დიდი ხანი არაა რაც კვალად მოჰკიდეთ ხელი თქვენს კურთხეულს მათრახს და მეც დიდი სიამოვნებით ვეგებები რა მაგ ამბავს, მოგმართავ თხოვნით და იმედია უყურადღებოთ არ დასტოვებთ ამ ჩემს თხოვნას.

წინეთაც ბევრი იყო, მაგრამ როცა გაიგეს ეშმაკი არას ამბობსო მერე დღე დღეზე ემატა თქვენებურათ შესამკობი ვაჟ-ბატონებს. იქნებ იფიქროთ რომ მათი გამათრახება არ არის საჭირო?.. გარწმუნებთ, რომ მათთვის მართლა გამათრახებაა საჭირო, თორემ რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებში შემკობას, ეს მათთვის არაფერია, ისინი ვერაფერსაც ვერ გაიგებენ. ან კი საიდან უნდა გაიგონ როცა გაზეთში თვეში ერთხელაც არ კი ჩაიხედავენ...

უმუშევრების დახმარებაზე არავინ ყურსაც არ იბერშყავს, ანკი საიდგან დაეხმარებიან როცა თავისთვისაც არა ყოფნით, რაღაც ექვს-შვიდს თუმანს იღებენ თვეში. ჩაცმა უნდათ, დახურვა, ჰამასმა, ქეიფი, ორთაჭალა-ავჭალა, ფუნიკულიორი, ვერის ბაღები. მოდი და ყველა ამეების შემდეგ დაეხმარე უმუშევარს. საიდგან?.. ერთი ადგილი არის (იმას ჩუმათ გიჩვენებ ჩემო ეშმაკო) იქ საზოგადოთ დიდი დებატები აქვთ შაფათ საღამოობით „პარტიებზე", სხვა კი არა იფიქროთრა. ეს ის პარტიაა, სადაც ხშირათ ახმარებენ სიტყვებს: „დუპლეტ სერედინ", „ბლატქი ტუზ", „პარტია" მოვიგე", „პარტია" წავაგე და სხვა.

სხვა არა მინდარა, ერთი მათთვის ქეიფობის დროს გაყურება: რა მშვენიერი სადღეგრძელოები იციან, გაუმარჯოს იმას, ვინც.. უკაცრავათ კარგათ არ მახსოვს, მგონი ოთხი კედლები უნდა იყოს, დიახ, ასეა... დახმარება კი... დახმარებას შენგნით ველით ძმაო ეშმაკო და ამ თავით გეუბნები, რომ ჩვენსკენ თუ შემოიარო, უმათრახოთ არ წამოხვიდეთ, ერთს ვინმეს თუ თანაშემწეს იშოვით, ძალიან კარგი იქნება, თორემ მარტო თქვენ ვეჭვობ, რომ აუვიდეთ ყველას გამათრახებას. გელოდებით მოუთმენლათ.

რ. ჯ.

—

ახალ-სენაკი. ძმაო ეშმაკო! იმედი მაქვს, ჩვენს ყველასაგან მოძულებულ კუთხეს, შენ მაინც მოხედავ. საქმე კი ბევრის უბევრესი გვაქვს შენთან შესახვეწი. მოგეხსენება, კულტურის გასავრცელებლათ სკოლას დიდი მნიშვნელობა აქვს და კიდევაც აპირებენ აქეთ პროგიმნაზიის გახსნას, მაგრამ პატივცემული სპირიდონი არ არის ასეთი აზრისა. ამიტომაც გთხოვთ, ისევ შენ შეაგნებიო მას ეს ჭეშმარიტება, რა საშვალებითაც გინდა.

თუ ვინიცობაა ჩამოხვიდე, გთხოვთ სიფრთხილით მოეპყრათ მელიტონს, რომელიც გზას კენჭავს და ურჩ მუშებზე გულ მოსულმა შეიძლება ჯავრი შენზე იყაროს.

ჩუმი ეშმაკი.

—

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! ნუ თუ რაიმე უკანა აზრები იმალებოდა თქვენს სიტყვებში, როცა, ათ ივნისს, შემპირდით: „თუ სამედიატორო სასამართლოს დადგენილება არ დამკარგვია, უთუოდ დავბეჭდავ, და თუ დაკარგული აღმოჩნდა, იმ შემთხვევაში ამას მაინც გამოვაცხადებო". მე რასაკვირველია არა მჯერა აქ რაიმე ფარული აზრი იმალებოდეს და გთხოვთ მაცნობოთ, რამ გამოიწვია თქვენი დაპირების დავიწყება.*)

ეშმაკუნა.

—

„ვარსკვლავის" მეხუთე ნომერში ვიღაც „იაგანი" ქებათა ქებას ასხამს აბაშის ყოფილ ექიმს ბუხბინდერს. „იაგანს", რასაკვირველია უფლება აქვს, ვინც უნდა ის აქოს, მაგრამ როცა ის გადასწვდა „ეშმაკის მათრახში" მოთავსებულ ჩემს კორესპონდენციას იმავ ბუხბინდერის შესახებ, და იმ კორესპონდენციის დასარღვევათ ასეთი საბუთი მოიყვანა: „იმ ქორის გასფანტავათ ბევრს ლაპარაკობდა ის ფაქტიც,

*)დავარწმუნებთ პატივცემულ კორესპონდენტს, რომ რედაქციას ამ შემთხვევაში არავითარი სხვა მოსაზრება არ აბრკოლებდა გარეშე იმისა, რომ მედიატორეთა დადგენილება დაიკარგა, რადგან იმ დროს მოვიდა რედაქციაში, როცა გაზეთის გამოცემა კარგა ხნით შეჩერებული იყო. გარდა ამისა რედაქციას არ ეგონა, თუ ამ დადგენილების დაუბეჭდაობას ასეთი გრძელი კუდი გამოებმოდა და ბ-ნი ეშმაკუნას მოწინააღმდეგე მოძღვარი ამის შესახებ ჭორებს გაავრცელებდა. ამის გამო ჩვენი რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს პატივცემულ მედიატორეთ: წარმოგვიგზავნონ მეორე ცალი მათი დადგენილებისა გაზეთში დასაბეჭდათ.

მათრ.-სალ. რედაქცია.



მოგზაურობა პროვინციებში.

რომ ბუხმინდერს გადასახლების დროს გლეხები ულრმეს მადლობას უხდიდენ“ *). აქ კი განმაცვიფრა ბ-ნი იავანის „სიფაქიზემ“.

როგორც აბაშის საზოგადოებას მოეხსენება, აქედან წასვლის დროს ბ-ნ ბუხბინდერს ჯერ აფთიაქის პატრონმა კანდელაკმა და შემდეგ ბოქაულმა გეგენავამ გაუმართეს სადილი. ნუ თუ ეს ორი კაცი შეადგენს გლეხებს, ბ-ნო იაგანო? სირცხვილი თქვენ, რომ ტყუილსაც ამბობთ და გლეხებსაც შეურაცხყოფას აყენებთ ასეთი შედარებით.

ფოთელი.

ბატ. რედაქტორო! თქვენს გაზეთში ხონიდან „ხ. ხ.“ კორესპოდენცია დაიბეჭდა. „ხ. ხ.“ თავის წერილში ცრუ ხმებს ავრცელებს ადგილობრივ სამკითხველოს შესახებ. ის ამბობს: ,,ხონის სამკითხველოში გაზეთების მჭამელი აღმოჩნდაო და დღეში ორ-სამ გაზეთს მიირთმევსო‘‘.

აგერ თვე ნახევარია, სამკითხველოს გამგეთ ვიმყოფები და ასეთ შემთხვევას ჯერ აქ ალაგი არა ჰქონია **). უმჯობესი იყო, ბ ნ „ხ. ხ.-‘‘ს ჯერ საქმის ნამდვილი გარემოება გაეგო და შემდეგ დაეწერა.

გიგლა ძებუკე.

*) ესეც ადვილი შესაძლებელია, მაგრამ თუ უხდიდენ მადლიბას, ალბათ იმიტომ, რომ თავიდან შორდებოდა სოფელს, ლიახოვი რომ სპარსეთს მოშორდებოდეს, ან მეხუზლა ,,გეორგიის‘‘ საზოგადოებას, დიდ მადლობას შესწირავენ, როგორც სპარსელები, აგრეთვე „გეორგიის“ წევრები.

ეშმაკი.

**) ჯერ საქმე გამოურკვეველია, მაგრამ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ხონის სამკითხველოში არ მიირთმევენ არც ძველსა და არც ახალ გაზეთებს. ეშმაკი.

შეცდომის გასწორება.

ბ-ნ ხუჭუას მიმართ მოთავსებულ წერილს შეცდომით აწერია ფსევდონიმი კრუშევანი, უნდა იყოს ,,ს ა თ ა ნ ა‘‘.

რედ.

იუმორისტულ-პოპულიარული, ყოველ-კვირეული, სურათებიანი ჟურნალი

,,მათრახი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით—2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის“ ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Василію Болквадзе.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ტურაბელიძე